პროექტი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ბათუმი „.....“ „.....“ 2024 წ.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, (ტექსტში შემდგომში - „დამკვეთი“) წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ლელა სურმანიძის სახით, მოქმედი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის --- იანვრის N---------- ბრძანების თანახმად და მეორეს მხრივ ---------- (პ/ნ ----------) (ტექსტში შემდგომში - „მოსახურების გამწევი“) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

1. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი“ (პროგრამა „სოციალური უზრუნველყოფა”, ქვეპროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დამკვეთსა და მომსახურების გამწევს შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის მოწესრიგება.

2.2. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გამწევი ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (ბენეფიციარი) მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. ძირითადი დებულებები

3.1. მომსახურების გამწევი კისრულობს ვალდებულებას გასწიოს მომსახურება (გამცილებლის მომსახურება) მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოთა და ეტლით მოსარგებლე პირთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სახელმწიფო და სხვა დაწესებულებებში ვიზიტის (გადაადგილების) მიზნით, ასევე, ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სხვა მომსახურებას.

3.2. მომსახურების გამწევი 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლოები და ეტლით მოსარგებლე პირები) საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მიზნით.

3.3. მომსახურების გამწევი აწარმოებს გადაადგილების ტაბელს, რომელშიც მითითებული იქნება მომსახურების ადგილი, დრო, ბენეფიციარის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი, გაცილების ადგილი, გაცილების დანიშნულება, ბენეფიციარის ხელმოწერა, გამცილებლის ხელმოწერა.

3.4. მომსახურების გამწევი უზრუნველყოფს ბენეფიციარების თანმხლების მომსახურებას და კვირაში თითოეულს 2-ჯერ ერთი საათის (კვირაში 2 ვიზიტი, მთლიანობაში 2 საათი) განმავლობაში გაუწევს ასისტენტობას.

3.5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფა”, ქვეპროგრამის “შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ფარგლებში მომსახურების გამწევი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ

უფლებამოსილი პირის დავალებით ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ამოცანებს და უფლება-მოვალეობებს.

4. მომსახურების გაწევის ვადა და საფასური, ხელშეკრულების მოქმედება

4.1. მომსახურების გამწევი ვალდებულია, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. დამკვეთი მომსახურების გამწევს ბენეფიციარისთვის ფაქტიურად გაწეული ერთი ვიზიტის მოსახურების სანაცვლოდ უხდის 12 (თორმეტი) ლარს.

4.3. საფასურის ანაზღაურება ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული ტაბელის საფუძველზე.

4.4. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ასისტენტის მიერ გაწეულ მომსახურებაზე მონიტორინგი და შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ნინო ლომთათიძეს, ხოლო მისი არ ყოფნის (შვებულება, დროებითი შრომისუუნარობა და სხვა) შემთხვევაში - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების უფროსს გულნაზ ბოლქვაძე-ხარაზს.

5.2. ინსპექტირების შედეგებზე დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ დამკვეთის და მომსახურების გამწევის უფლებამოსილი პირები.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის შემსყიდველს მომსახურეობის შესრულებიდან არა უმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღისა უნდა წარედგინოს ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი, ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩატარებული მომსახურება არ ანაზღაურდება.

6.3. წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომსახურების გამწევს.

6.4. გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს ინვოისის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6.5. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უმეტეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღისა დამკვეთი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ანაზღაურება.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება წინამდებარე ხელშეკ-რულების პირობებით.

8. სხვა პირობები

8.1. მომსახურების გამწევის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მომსახურების გამწევს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 5 ლარის ოდენობით.

8.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომსახურების გამწევს ძირი-თადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომსახურების გამწევს ეკისრება პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულებით გასაწევი მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4. დამკვეთი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო გაუქვითოს მომსახურების გამწევს სახელშეკრულებო ანაზღაურებიდან.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება დამკვეთთან და მომსახურების გამწევთან.

8.6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

8.7. მომსახურების გამწევი ადასტურებს, რომ გაეცნო, ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის მერის 2024 წლის ---- იანვრის N---------- ბრძანებას და ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე ლელა სურმანიძე

----------/ /----------/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

„მომსახურების გამწევი“

პ/ნ ----------
მის: ----------
ტელ: ----------

/----------/ /----------/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)